ელისაბედ სვანიძე

30/09/2005

სკოლა: **კავკასიის მედიის სკოლა**

პროგრამა: **პიარი და კომუნიკაცია**

კურსი: II

CU ელ. ფოსტა:**E_SVANIDZE3@CU.EDU.GE**

ჩემს შესახებ

გამარჯობა, მე ელისაბედი ვარ - მედიის სკოლის მე -2 კურსის სტუდენტი. ბიზნესსა და თეატრალურს შორის ვაკეთებდი არჩევანს, თუმცა ბოლოს პიარსა და კომუნიკაციამ გადაჯობრა ორივე და მასზე შევაჩერე არჩევანი. ჩემი ინტერესებიდან და ყოველდღიურობიდან გამომდინარე ადამიანებთან ხშირად ვკომუნიკაციობ, შესაბამისად თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ პროფესია სწორად მაქვს არჩეული.

სკოლის პერიოდში, ადრეული ასაკიდანვე აქტიურად ვერთვებოდი სხვადასხვა, როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივ პროექტებში. MUN კონფერენციებში თავიდან დელეგატის სტატუსით ვიღებდი მონაწილეობას, შემდეგ ორგანიზატორობაშიც ვცადე ჩემი თავი და ეს გამოცდილება დღემდე მეხმარება საკუთარი თავის განვითარებაში. გავიარე სტაჟირება ,,კანტის აკადემიაში“, სტაჟირების შემდეგ გუნდის წევრიც გავხდი და დღემდე აქტიურად ვერთვები ყველა გამართულ ღონისძიებაში.
თავისუფალ დროს მიყვარს ფილმების ყურება, მეგობრებთან ერთად დროის გატარება, კითხვა და განსაკუთრებით მოგზაურობა. მოგზაურობა საუკეთესო შესაძლებლობაა ახალი ადამიანების გაცნობის, მათთან კომუნიკაციისა და საერთო ინტერესების გაზიარების.
ყოველთვის ვცდილობ ჩემი მომავალი პროფესიიდან გამომდინარე, ბევრი მეტამორფოზა განვიცადო და ცხოვრება გავიმრავალფეროვნო. მუდმივად ახალ რაღაცებს ვსწავლობ, გავდივარ სხვადასხვა კურსებს და ვცდილობ სულ განვითარების პროცესში ვიყო. არ ვუშინდები სიახლეებსა და გამოწვევებს, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ჩემი თავი CU-ის ელჩადაც მეცადა.

კავკასიის უნივერსიტეტის ელჩი
CAUCASUS UNIVERSITY
AMBASSADOR